№ 1/1/68 09.11 2021

ბრძანება

შპს „ევროპული სკოლის“ ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკის ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ევროპული სკოლის“ ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის N1-47/3 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკა

EUROPEAN SCHOOL LTD

დოკუმენტის გადახედვის პერიოდულობა: ყოველწლიური
პოლიტიკა შემუშავებულია: მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის მიერ
პოლიტიკის შემუშავების თარიღი: 2016 წლის სექტემბერი
ბოლო გადახედვის თარიღი: 2021 წლის ნოემბერი
ბოლო გადახედვა: მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

ჩვენი მისია

„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში; უქმნის ყველა პირობას მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული, საერთაშორისო განათლება ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია "ევროპული სკოლის" ყველა, აკადემიურ თუ კლასგარეშე, ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. "ევროპულ სკოლაში" სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო,

მინდა, გაცნობოთ ჩვენი სკოლისთვის განსაკუთრებული ინტერესის მქონე საკითხის შესახებ, რომელიც, ვიმედოვნებ, ყველა თქვენგანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. „ევროპულმა სკოლამ" მიიღო ბავშვის დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს ჩვენი პერსონალისა და მოსწავლეთა ოჯახებისთვის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და ბავშვზე ზრუნვა. აღნიშნული დოკუმენტით მე მეკისრება ვალდებულება, სასწავლოს წლის დასაწყისში თითოეულ მშობელს გავუგზავნო ეს შეტყობინება, რითიც არა მხოლოდ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს ვასრულებ, არამედ საშუალება მეძლევა, ყველა თქვენგანს გაცნობოთ ჩვენი სკოლის ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ევროპული სკოლის ბავშვის დაცვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომლის ხელმომწერი ქვეყანაა საქართველო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი მუხლი, რამელზედაც გვსურს თქვენი ყურადღების მიქცევა:

მუხლი 19. ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ბავშვი დაიცვას მშობლების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ცუდი მოპყრობისგან და შეიმუშაოს სათანადო სოციალური პროგრამები ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა მკურნალობისთვის.

მუხლი 34. სექსუალური ექსპლუატაცია სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან, მათ შორის პროსტიტუციაში ჩართვისა და პორნოგრაფიაში გამოყენებისგან.

თქვენი შვილის „ევროპულ სკოლაში" ჩარიცხვით თქვენ თანახმა ხართ, რომ ითანამშრომლოთ სკოლასთან და დაიცვათ „ევროპული სკოლის" წესები/რეგულაციები. მსურს დაგარწმუნოთ, რომ „ევროპული სკოლის" თითოეული წევრი აცნობიერებს ჩვენი თანამშრომლობის აუცილებლობას თქვენი შვილების უსაფრთხოებისა და მათზე ზრუნვის მიზნით. სწორედ ამიტომ „ევროპულმა სკოლამ" შეიმუშავა ბავშვისის უფლებათა დაცვის პოლიტიკა, რომელიც ადგენს იმ სტანდარტებს, რომელთა საფუძველზეც „ევროპული სკოლის" ყველა მოსწავლეს ყოველთვის პატივისცემითა და ღირსებით მოეპყრობიან.

ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის, რათა ყველა მათგანმა შეძლოს სწავლა და განვითარება, სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და ჩვენი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, „ევროპული სკოლა":

✦ უზრუნველყოფს ყველა კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას და ასაკის შესაბამისად მათი პირადი უსაფრთხოების, საჭიროებებისა და უფლებების შესახებ ინფორმირებას;

✦ მშობლებს მიაწვდის მასალებს და ჩაატარებს საინფორმაციო შინაარსის შეხვედრებს, რათა მათ უკეთ იცოდნენ ჩვენი პროგრამებისა და პოლიტიკის შესახებ;

✦ ყოველწლიურად გადაამზადებს პედაგოგებს ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შეტყობინების საკითხებზე.

მოდით, ერთად ვიმუშაოთ სახლსა და სკოლაში, რათა ვუზრუნველყოთ ბავშვების უსაფრთხოება და ინფორმირებულობა როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ იმისათვის, რომ ბავშვები აღიზარდონ და ისწავლონ შიშისგან თავისუფალ, უსაფრთხო და მეგობრულ გარემოში. მადლობას მოგახსენებთ თქვენი მხარდაჭერისთვის ჩვენს ძალისხმევაში.

სოფიო ბაზაძე - სკოლის დირექტორი

ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკა

ბავშვთა მიმართ ძალადობა მთელი მსოფლიოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ბავშვის მიმართ ძალადობა ბავშვის უფლებების დარღვევაა და ხელს უშლის როგორც მის განათლებას, ასევე, მის ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებას. შპს „ევროპული სკოლა" (შემდგომში - „ევროპული სკოლა" ან „სკოლა") მხარს უჭერს გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციას,
რომლის ხელმომწერი ქვეყანა არის საქართველო.

სკოლები განსაკუთრებულ ინსტიტუციურ როლს ასრულებენ საზოგადოებაში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით. პედაგოგებს, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშვებზე დაკვირვების და მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა აქვთ, იმ ბავშვების ამოცნობა შეუძლიათ, რომლებიც დახმარებასა და დაცვას საჭიროებენ. მასწავლებლებს აკისრიათ როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური ვალდებულებები, გამოავლინონ დახმარების საჭიროების მქონე ბავშვები და სათანადო ზომები მიიღონ იმისათვის, რომ ბავშვმა და ოჯახმა საჭირო მომსახურების მიღება შეძლონ ისეთი სიტუაციის გამოსასწორებლად, რომელშიც ბავშვის მიმართ ძალადობა ხორციელდება.
„ევროპული სკოლის" ყველა თანამშრომელი ვალდებულია, სკოლის მენეჯმენტს შეატყობინოს ბავშვის მიმართ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შესახებ, თუკი არსებობს ბავშვზე ძალადობის ვარაუდის საფუძველი ან რისკის წინაპირობა. ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა სავარაუდო შემთხვევის შესახებ შეტყობინება და მისი შემდგომი კონტროლი წინამდებარე პოლიტიკის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდება. გარდა ამისა, ბავშვის მიმართ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შესახებ ეცნობება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

„ევროპული სკოლის" სურვილია, უსაფრთხო გარემო უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის, რომელთა მიმართ ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლოა, განხორციელდეს ძალადობა. „ევროპული სკოლა" მოსწავლეთა მშობლებს აწვდის ინფორმაციას წინამდებარე დოკუმენტის არსებობის/შინაარსის თაობაზე და აცნობებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალური ვებვერდის მეშვეობით. „ევროპული სკოლა" წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტს აცნობს მოსწავლეებს, ასევე ატარებს ვორქშოპებს სკოლის მთელი გუნდისთვის და მიმართავს ძალისხმევას, რომ დაინერგოს პერსონალის სამსახურში აყვანის ისეთი პრაქტიკა, რომელიც ბავშვთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში, თუკი შეტყობინება გაკეთდება სკოლის თანამშრომლის, როგორც სავარაუდო სამართალდამრღვევის შესახებ, „ევროპული სკოლა" სათანადო სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად და ბავშვის უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფის გზი, ატარებს საკითხის სრულ შესწავლას/მოკვლევას.

„ევროპული სკოლის" ბავშვის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ბავშვის, ოჯახისა და ჩვენი საზოგადოების დაცვის ინსტრუმენტს წარმოადგენს. როგორ განიმარტება ძალადობა?

ძალადობის განმარტება კომპლექსურია და ეფუძნება ქცევის სხვადასხვა კულტურას ბავშვის აღზრდაში, გენდერულ და პიროვნების საზოგადოებაში მინიჭებული როლის შესაბამის ვალდებულებებს და მოლოდინებს. ბავშვთა მიმართ ძალადობა განისაზღვრება, როგორც ქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც

ზიანს აყენებს ბავშვს ან რისკის ქვეშ აყენებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას, უფრო კონკრეტულად კი **ძალადობა** არის - პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე. ძალადობად მიიჩნევა:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

სექსუალური ძალადობა - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით 16 წლამდე ბავშვთან ძალადობის გარეშე სქესობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ/მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 მუხლში (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) მითითებული ან/და 126^1 მუხლით (ოჯახში ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას ბავშვის მიერ განცდილი ძლიერი ემოციური სტრესი, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის, იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა, ნივთიერებათა ავად მოხმარების, მოწყალების თხოვნის, აგრეთვე ბავშვის ჩართვას შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღ ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება;

უგულებელყოფა - მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ბავშვის უფლებების დარღვევის მაგალითები:

✦ ბავშვზე მიზანმიმართული ფიზიკური ზემოქმედება, სხეულის დაზიანება, რაც იწვევს სისხლჩაქცევებს, დამწვრობას, დასახიჩრებას, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას, სხეულის ნებისმიერი ორგანოს ფუნქციის დაკარგვას ან გაუარესებას, სიკვდილს;

✦ ბავშვისათვის ფიზიკური დაზიანების რისკის შექმნა;

✦ სასტიკი ან არაადამიანური ქმედებების ჩადენა, ხილული დაზიანების არარსებობის მიუხედავად. ასეთი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) უკიდურესად მკაცრი დისციპლინის შემთხვევებს, რომელიც იწვევს ბავშვის ტკივილის ან/და ფსიქოლოგიური ტანჯვის უგულვებელყოფას;

✦ ბავშვის შეურაცხყოფა ან მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება, როგორც ეს განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით ან სკოლის პოლიტიკით;

✦ ისეთი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ბავშვის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ბავშვის განვითარების მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს;

✦ სათანადო ზომების მიუღებლობა ზემოაღნიშნული შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

ბავშვზე ფიზიკური ძალადობის შესაძლო ინდიკატორები:
- გაურკვეველი სისხლჩაქცევები და იარები სხეულის ნებისმიერ ნაწილში;
- სხვადასხვა დროს წარმოქმნილი (სხვადასხვა ფერის) სისხლჩაქცევები;
- სხვადასხვა ნივთის ფორმის მქონე დაზიანებები (როგორიცაა, მაგალითად, ელექტროსადენი, ქამარი, ბალთა, ხელი);
- დაზიანებები, რომლებიც რეგულარულად ჩნდება სკოლაში არყოფნის ან დასვენების დღეების შემდეგ;
- გაურკვეველი დამწვრობები, განსაკურებით ტერფებზე, ხელისგულებზე, ზურგზე, ან დუნდულებზე;
- ელექტროღუმელის, უთოს ან სიგარეტის ფორმის მქონე დამწვრობები;
- კაბელით მიყენებული დამწვრობა მკლავებზე, ფეხებზე, კისერზე ან ტანზე;
- დაზიანებები, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის მიერ მოყოლილ ამბავს;
- დამწვრობა ცხელ წყალში ჩაშვებით, რომელსაც მკაფიოდ შემოსაზღვრული ხაზები აქვს;
- გაურკვეველი იარები (ნახეთქები), დაბეჟილობები, ან მოტეხილობები.

უგულებელყოფის მაგალითები:

✦ ფიზიკური (მაგ.: საკმარისი საკვებით ან თავშესაფრით დაუკმაყოფილებლობა, ან შესაბამისი ზედამხედველობის არქონა,რაც ასევე გულისხმობს ზრდასრული მეურვის არყოფნას, მაგ.: სახლში ბავშვების მეთვალყურეობის გარეშე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დატოვება);

✦ სამედიცინო (მაგ.: საჭირო მკურნალობის არქონა);

✦ ემოციური (მაგ.: ქმედებები, როგორიცაა: ბავშვის ემოციური მოთხოვნილებების მიმართ უყურადღებობა, არასათანადო ფსიქოლოგიური დახმარება, ან ბავშვისთვის ალკოჰოლის ან ნარკოტიკური საშუალებების

გამოყენებაზე ნებართვის მიცემა. კონკრეტული მაგალითები შეიძლება ეხებოდეს სიტყვიერ დამცირებას, ბავშვის იგნორირებას, პირადი ცხოვრების უმიზეზოდ ხელყოფას, ძალადობრივი ხასიათის მუქარებს და ა.შ.).

უგულებელყოფის შესაძლო ინდიკატორები: - ბავშვი დაუბანელი ან მშიერია; - მშობლები არ ინტერესდებიან ბავშის აკადემიური მოსწრებით; - მშობლები არ პასუხობენ სკოლიდან არაერთგზის გაგზავნილ შეტყობინებებს; - ბავშვს არ უნდა სახლში წასვლა; - ორივე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის არყოფნა 24 საათის ან მეტი პერიოდის განმავლობაში; - საგანგებო მდგომარეობის დროს მშობლებთან დაკავშირება შეუძლებელია.

სექსუალურ ძალადობას ბავშვთა მიმართ ძალადობის გარკვეული თავისუბურებები გააჩნია, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.
ფიზიკური ძალადობა შესაძლოა იყოს განგრძობითიც, თუმცა იგი უმეტესწილად დაუგეგმავია, ხოლო სექსუალური ძალადობა გულისახმობს დაგეგმილ ძალადობის ფორმას.
სექსუალური ძალადობის ფაქტები გაცილებით გასაიდუმლოებულია, ვიდრე ბავშვის მიმართ ძალადობის სხვა ფორმები, ამიტომ სექსუალურ ძალადობაზე შეტყობინება გაცილებით რთულია.

სექსუალური ძალადობის შესაძლო ინდიკატორები: -ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა, ქცევა ან მეტყველება; - უჩვეულო პიროვნული ურთიერთობები; - ვენერიული დაავადებები ნებისმიერი ასაკის ბავშვში; - ფიზიკური ტრავმის ნიშნები ან სისხლდენა პირის ღრუს, გენიტალიების ან ანუსის მიდამოში; - სირთულეები სიარულის დროს ან დაჯდომისას; - ფიზკულტურის გაკვეთილზე ტანსაცმლის გამოცვლაზე უარი, საშხაპეების შიში; - ბავშვის სახლიდან გაქცევა მიზეზის გარეშე; - კონკრეტულ პიროვნებასთან მარტო დარჩენის შიში; - ორსულობა; - ზედმეტად იზოლირებული აღზრდა.

ძალადობის სავარაუდო შემთხვევისას რეაგირება

ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:
ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);
ბ) ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);
გ) ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის სკოლაში;
დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;
ე) ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;
ვ) ასაკის შეუფერებლად დროს ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;
ზ) ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;
თ) ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);
ი) ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურებას;
კ) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე.

ეტაპი 1. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, მასწავლებელმა/სკოლის ნებისმიერმა სხვა თანამშრომელმა აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს (საერთაშორისო პროგრამების შემთხვევაში), პროგრამის კოორდინატორს (ქართული პროგრამის შემთხვევაში) ან პროგრამის ფსიქოლოგს. ეს ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელების/პროგრამის კოორდინატორის მიერ უნდა მიეწოდოს ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცერს, არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში. სკოლის ექიმის, ფსიქოლოგისა და ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცრის მონაწილეობით იწყება მოკვლევა/ფაქტის შესწავლა, რათა დადგინდეს საფუძვლიანია თუ არა ეჭვი.

განსახორციელებელი პროცედურები:
• ინტერვიუ მოსწავლესთან;
• საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთა გამოკითხვა საქმესთან დაკავშირებით;
• მოსწავლეზე მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად სკოლის პერსონალთან გასაუბრება და საქმესთან დაკავშირებული სხვა გარემოებების გამორკვევა;
• სკოლის დირექტორის ინფორმირება საქმის მსვლელობის შესახებ;
• შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცერი ადგენს/ავსებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტს (ბავშვთა დაცვის მიმართის ბარათს), რომელიც ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება პოლიციას, ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის შეტყობინება „ცხელი ხაზის" მეშვეობით ან/და წერილობით.

წინამდებარე პოლიტიკითა და „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიზნებისათვის საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

ა) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბ) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

გ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:

დ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;

დ.ბ) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;

დ.გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;

დ.დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;

დ.ე) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

ე) სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

ყველა საეჭვო შემთხვევა იქნება აღწერილი დოკუმენტურად, კონფიდენციალობის სრული დაცვით.

ეტაპი 2. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას მოსწავლისა და ოჯახის მხარდაჭერის მიზნით:

შესაძლო ქმედებები:

- გასაუბრება ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებთან;

• ბავშვის გასაუბრება სკოლის ფსიქოლოგთან მეტი ინფორმაციის მისაღებად;
• შემდგომი დაკვირვება მოსწავლეზე სასწავლო გარემოში, სკოლის ფსიქოლოგის მიერ;
• ბავშვის/კანონიერი წარმომადგენლის გადამისამართება შესაბამის უფლებამოსილ სამსახურში;
• სხვა ქმედებები.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვზე ძალადობის ბრალდებები „ევროპული სკოლის" თანამშრომელს ან მასწავლებელს ეხება, სკოლის დირექტორი მოქმედებს სკოლის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის მიხედვით.

ეტაპი 3. ბავშვის მიმართ ძალადობის ეჭვის/საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში ან დასაბუთებული შემთხვევისას:

✦ მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცრის ხელმძღვანელობით გააგრძელებს ბავშვთან და ოჯახთან ურთიერთობას შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით;

✦ ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცერი/სკოლის ფსიქოლოგი ბავშვის მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორს აცნობებს განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ;

✦ ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცერი/სკოლის ფსიქოლოგი მასწავლებლებს მიაწვდის საჭირო მასალას და ქცევის სტრატეგიებს;

✦ სკოლის დირექტორს ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ექნება კომუნიკაცია სკოლაში ბავშვის შემდგომი მიღწევებისა და განვითარების შესახებ.

კონფიდენციალურობა:
ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესწავლასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ინახება კონფიდენციალურად სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურში. ბავშვის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მიმღები სკოლისთვის მოსწავლის საქმის გაგზავნისას უნდა აღინიშნოს ამ მოსწავლის შესახებ არსებული კონფიდენციალური დოკუმენტები.

მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევაზე რეაგირების მონაწილე მხარეები:
ძალადობის სავარაუდო შემთხვევების უმრავლესობა მართული იქნება სკოლის ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცრისა და მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ.
ზოგიერთ საქმეებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მიმართვა გარე რესურსებზე, მაგალითად, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები - დეპრესია, ფსიქოზი, ფსიქიკის დარღვევა (დისოციაცია), სუიციდური აზროვნება.

შეუფერებელი/მიუღებელი ქცევები/ქმედებები და რეკომენდაციები მოსწავლეებთან ურთიერთობისას:
მოსწავლესთან ურთიერთობაში შეუფერებელი/მიუღებელი ქცევები/ქმედებები, რომლებიც არ შემოიფარგლება, მაგრამ მოიცავს შემდეგს:

✦ დაუშვებელი ფიზიკური კონტაქტი (მაგ. სილა, წიხლი, ბიძგი) ან მუქარა;

✦ სექსუალური შევიწროება (მათ შორის რომანტიკული ურთიერთობები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის) ან შევიწროება ასაკის, სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა ნიშნის გამო;

✦არათავაზიანი ქცევა, მათ შორის ყვირილი, პირადი თავდასხმები ან შეურაცხყოფა, აგრესიული ქცევა (საგნების სროლა და სხვა);

✦ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, მათ შორის სწავლებასა და შეფასებაში ასაკის, სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა ნიშნის გამო.

რეკომენდაციები მოსწავლეებთან ფიზიკურ შეხებასთან დაკავშირებით:

მასწავლებლებმა და სკოლის სხვა თანამშრომლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მოსწავლესთან ფიზიკურ კონტაქტთან/შეხებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

ა) ბავშვის ასაკი:

ძალიან რთულია კლასში საბავშვო ბაღის/დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან შეხების თავიდან აცილება. თუმცა, როცა მოსწავლეები იზრდებიან, შეხებისა და ჩახუტების აუცილებლობა იკლებს. მაგალითად, საშუალო საფეხურის მოსწავლე გოგონები უკვე აცნობიერებენ თავიანთ სექსუალობას. მხოლოდ ძალიან მცირე შეხებაა მისაღები მეცხრე და ზედა კლასის მოსწავლეებთან.

2. მასწავლებლის სქესი:

მამრობითი სქესის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საკუთარ ქცევას, რათა დარწმუნდნენ, რომ არ მოხდეს მათ ქცევის არასწორი ინტერპრეტირება. თუმცა, ქალი მასწავლებლებიც არ არიან დაზღვეული ამისაგან.

3. კულტურული/პერსონალური ფაქტორები:

მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ მიმღებლობა მოსწავლეების ინდივიდუალური და კულტურული საჭიროებების მიმართ. თუ მოსწავლე სიტყვით ან მოქმედებით მიუთითებს, რომ მას არ მოსწონს შეხება, მასწავლებელი უნდა მოერიდოს ფიზიკურ კონტაქტს ამ მოსწავლესთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი კონტაქტი აუცილებელია უსაფრთხოების მიზნით.

გაითვალისწინეთ, რომ ბავშვი, რომელიც ადრე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო, ნეიტრალური შეხებასაც სექსულური ხასიათის ქცევად აღიქვამს.

4. ქცევები, რომლებიც თავიდან უნდა იქნას აცილებული, როდესაც ეს შესაძლებელია:

ა) სოციალური აქტივობები მოსწავლეებთან სკოლის შენობის/ტერიტორიის გარეთ, გარდა სკოლის მიერ ორგანიზებული/საგანმანათლებლო მიზნებით განპირობებული ექსკურსიებისა/აქტივობებისა;

ბ) მოსწავლეების მანქანით ტარება;

გ) მოსწავლეებისთვის საჩუქრების გადაცემა;

დ) მოსწავლეებისთვის არასაგანმანათლებლო ხასიათის ბარათების/წერილების მიწერა და სხვა.

გამოყენებული მასალა:

1. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება;

2. საქართველოს პარლამენტი., საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. 2019 - matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2.

3. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი. "OHCHR კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ." www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx.

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

Child Protection Policy

Review frequency: Annual
Policy written by: Student Wellbeing Services
Policy written in: September 2016.
Last review date: November 2021
Last reviewed by: Student Wellbeing Services

Sophio Bazadze
Director

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

Our Mission

The European School provides an exceptional education in a nurturing and academically challenging environment, inspiring each student to achieve their personal best and become an influential and socially responsible global citizen.

Our Values

Our values-driven international education is expressed through core values that are woven into every academic and extracurricular activity at the European School. We actively promote four values that form the basis of everything we do. They include:

✦ Leading through innovation
✦ Pursuing excellence
✦ Growing by learning
✦ Global citizenship

With these values at our core, we encourage independent learning and empower students to embrace responsibility. Students at ES learn to celebrate diversity in a spirit of understanding and tolerance that helps them become citizens of the world.

We are committed to:

Offer inclusive, diverse, and innovative learning communities.

Develop, support, and empower our students intellectually, creatively, socially, physically, and ethically in harmony with Georgian culture.

Focus on academic excellence and integrity.

Creating lifelong learners.

Dear Parents,

I am writing to inform you of a matter that is of sincere personal interest to our school and is one that I hope is of utmost importance to all of you. I would like you to know that the European School has adopted a Child Protection Policy to guide our staff and families in matters related to the health, safety, and care of children in attendance at our school. In fact, I am required by this policy to send this letter to parents at the beginning of each school year. Thus, with this letter, not only am I fulfilling my assigned duties, but I also have the opportunity to write to you about this important aspect of our school program.

The European School Child Protection Policy is based on Georgian law and on the United Nations Convention on the Rights of the Child of which Georgia is a signatory. These two key articles from the U.N Conventional on the Rights of the Child are important, and we wish to draw your attention to them:

Article 19. Protection from abuse and neglect

The State shall protect the child from all forms of maltreatment by parents or others responsible for the care of the child and establish appropriate social programs for the prevention of abuse and the treatment of victims.

Article 34. Sexual exploitation

The State shall protect children from sexual exploitation and abuse, including prostitution and involvement in pornography.

By enrolling your child at European School, you agree to work in partnership with the school and abide by the policies adopted by the European School Board. All of us at European School want you to know that we genuinely value our partnership with you in providing for the safety and care of your children. That is why European School has endorsed a Child Protection Policy that defines the standards by which all European School students should be always treated with respect and dignity.

As part of our overall educational programs and specific to our shared responsibility to educate children and to ensure a safe environment in which all children can learn and grow European School will:

✦ Provide age-appropriate lessons for all grade levels to help students understand personal safety, needs, and rights

✦ Provide parent materials and information sessions to help you better understand our programs and policy

✦ Annually train faculty to recognize and report issues of abuse and neglect.

Let us work together at home and school to ensure that our children are safe and knowledgeable about their rights and responsibilities to themselves and each other, so they can grow and learn free of fear in a safe and supportive environment. I thank you for your support for our efforts, and I invite you to contact your school Child Protection Officer regarding any further questions you may have.

Sophio Bazadze, Director

Child Protection Policy

Child abuse and neglect are concerns throughout the world. Child abuse and neglect are violations of a child's human rights and are obstacles to the child's education as well as to their physical, emotional, and spiritual development. The European School endorses the UN Convention on the Rights of the Child, of which Georgia is a signatory.

Schools fill a special institutional role in society as protectors of children. Schools need to ensure that all children in their care are afforded a safe and secure environment in which to grow and develop, both at school and away. Educators, having the opportunity to observe and interact with children over time, are in a unique position to identify children who need help and protection. As such, educators have a professional and ethical obligation to identify children who require help and protection and to take steps to ensure that the child and family avail themselves of the services needed to remedy any situation that constitutes child abuse or neglect.

All staff employed at the European School must report to school management of all suspected incidents of child abuse or neglect whenever the staff member has reasonable cause to believe that a child has suffered or is at significant risk of suffering abuse or neglect. Reporting and follow-up of all suspected incidents of child abuse or neglect will proceed per administrative regulations respective to this policy. Furthermore, cases of suspected child abuse or neglect may be reported to the appropriate child protection agency in the home country, and/or to local authorities.

Notification of all suspected cases of violence against children and its further control will be carried out under the present policy, Resolution N437 of the Government of Georgia of September 12, 2016 "On Protection of Child Protection Referral (Referral) Procedures" and the requirements of the legislation. In addition, alleged cases of child abuse will be reported to the appropriate authorities.

The European School seeks to be a haven for students who may be experiencing abuse or neglect in any aspect of their lives. As such, The European School shares this policy document via email with the parents / legal guardians of all students enrolled in the school. This document is also available on the school's official website. The European School introduces this policy document to students, conducts workshops for the whole school team and seeks to implement safe recruitment practices to ensure the safety of children. In the case of a staff member reported as an alleged offender, European School will conduct a full investigation following a carefully designed course of due process, keeping the safety of the child at the highest priority.

The European School child protection policy works for the child, for the family, and our community.

How are abuse and neglect defined?

Definitions of abuse are complex and based on various cultures of child-rearing behaviors, gender and role responsibilities, and expectations. Child abuse is an action (or failure to act) that results in harm to a child or puts a child at risk of harm.

More specifically, violence is a violation of the constitutional rights and freedoms of a child involving neglect and/or physical, psychological, economic, sexual violence, or coercion, regardless of whether the act was/is intentional and/or unintentional.

Violence is considered:

Physical violence - beatings, torture, damage to health, unlawful deprivation of liberty, or any other act, including the act of corporal punishment of a child, that causes physical pain or suffering. Failure to comply with health requirements, resulting in injury or death to the child.

Sexual abuse - sexual intercourse with a child through violence, threats of violence, or victim helplessness, as well as sexual intercourse with a child without violence with the prior knowledge of an adult under 16 years of age, other sexual acts, or fornication.

Psychological violence - abuse, blackmail, humiliation, threats, or other such acts, including those committed by a family member / against a child under Article 111 of the Criminal Code (and liability for the domestic crime) and/or under Article 1261 (domestic violence). Emotional stress that causes or violates a child's honor and dignity.

Economic violence - an act that results in the restriction of the right to food, housing, and other conditions of normal development, the exercise of property and labor rights, as well as the use of the co-owned property and the right to dispose of one's share.

Coercion - the physical or psychological coercion of a child to perform or not to perform an action for which he or she has the right to refrain or/or to refrain from acting against his or her will. These include forced marriage, engaging in and/or engaging in anti-social activities, substance abuse, begging, and child labor, including petty trafficking, which restricts his or her basic rights (education, healthy physical and mental development). Complete and/or partial misappropriation of child labor earnings will be considered forced.

Neglect - failure of a parent/parents, other legal representatives, and/or another responsible person to meet the child's physical (including food, hygiene, housing), psychological needs, restriction of basic education, safety hazards, birth registration, and/or child identification documents, failure to take the necessary actions for the settlement, as well as for the use of medical and other services, in case if the parent (s), other legal representative and/or other responsible person has (have) appropriate information, opportunity and has access to the relevant services.

Examples of the violation of the rights of the child

Physical abuse is:

✦ Inflicting physical injury on a child by other than accidental means, causing skin bruising, burns, disfigurement, impairment of physical or emotional health, or loss or impairment of any bodily function, death; and/or

✦ Creating a substantial risk of physical harm to a child's bodily functioning; and/or

✦ Committing acts that are cruel or inhumane regardless of observable injury. Such acts may include, but are not limited to, instances of extreme discipline demonstrating a disregard of a child's pain and/or mental suffering; and/or

✦ Assaulting or criminally mistreating a child as defined by either the criminal code or school policy; and/or

✦ Engaging in actions or omissions resulting in injury to, or creating a substantial risk to the physical or mental health or development of a child; and/or

✦ Failing to take reasonable steps to prevent the occurrence of any of the above

Possible indicators of physical abuse

Unexplained bruises and welts on any part of the body

Bruises of different ages (various colors)

Injuries reflecting the shape of article used (electric cord, belt, buckle, ping pong paddle, hand)

Injuries that regularly appear after absence or vacation

Unexplained burns, especially to soles, palms, back, or buttocks

Burns with a pattern from an electric burner, iron, or cigarette

Rope burns on arms, legs, neck, or torso

Injuries inconsistent with information offered by the child

Immersion burns with a distinct boundary line

Unexplained laceration, abrasions, or fractures

Neglect is failure to provide for a child's basic needs within their environment.

✦ Physical (e.g., failure to provide necessary food or shelter, or lack of appropriate supervision – this would include failure to provide proper adult guardianship, such as leaving children unsupervised at home for an extended period

✦ Medical (e.g., failure to provide necessary medical or mental health treatment); and/or

✦ Emotional (e.g., a pattern of actions, such as inattention to a child's emotional needs, failure to provide psychological care, or permitting the child to use alcohol or other drugs, specific examples may include verbal humiliation, refusing to acknowledge the presence of the child, invasion of privacy for no specific reason, violent threats, etc.)

Possible indicators of neglect

The child is unwashed or hungry

Parents are uninterested in child's academic performance

Parents do not respond to repeated communications from the school

The child does not want to go home

Both parents or legal guardians are absent for any period of 24 hours or greater Parents cannot be reached in the case of an emergency

Sexual abuse is committing or allowing to be committed any sexual offense against a child as defined in either the criminal code of the host country or school policy, or intentionally touching either directly or through clothing, the genitals, anus, or breasts of a child for other than hygiene or childcare purposes. Sexual abuse has some different characteristics of child abuse that warrant special attention. While physical abuse is often the result of immediate stress and is not usually planned, sexual abuse requires planning with more insidious results.

The planning referred to as grooming, often results in victims accepting the blame, responsibility, guilt, and shame for the sexual behavior of the offender. Sexual abuse requires far more secrecy than other forms of child abuse, so is more difficult to report.

Many victims, through the process of grooming, are taught that sex is a form of love, so tend to love their offender and often present as happy and well-adjusted children with no negative symptoms because of their perception of being loved.

Possible indicators of sexual abuse
Sexual knowledge, behavior, or use of language not appropriate to age level
Unusual interpersonal relationship patterns
Venereal disease in a child of any age
Evidence of physical trauma or bleeding to the oral, genital, or anus areas
Difficulty in walking or sitting
Refusing to change into physical education (PE) clothes, fear of bathrooms
Child running away from home and not giving any specific complaints
Not wanting to be alone with an individual
Pregnancy, especially at a young age
Extremely protective parenting

Responding to an alleged case of violence

Alleged child abuse may be indicated by one or more of the following:

A) The presence of signs of bodily injury on the child (bruises of different colors, wounds, and scratches of different degrees, yaws, difficulty walking, swollen parts of the body, fractures, burn marks, bruises, and other injuries).

B) The child becomes suspicious (the child is agitated, depressed, has fears, does not want to return home, has changed his character radically, etc.).

C) The child does not come and/or comes irregularly to school.

D) The child is not registered, or the child does not have a birth certificate, nor is he/she under the supervision of a pediatrician/doctor.

E) The child is neglected, significantly retarded in physical development, the child has a suspicious appearance - unclean face and body, wears dirty and/or seasonally unsuitable clothes, is fed with food waste.

F) Spends time unsupervised, his/her environment contains threats to the child's health and development, lives with other members of the group of children.

G) Is engaged in labor activities, including petty trade, which leads to the violation of his / her basic rights (education, healthy physical and mental development).
H) The child is used and involved in work unsuitable for his / her age and/or anti-social activities (asks for mercy/begs, spends an unreasonably long time on the street).
I) the child often moves with a stranger/person without a relative or is under the constant supervision of strangers and/or provides them with services.
J) any other factors that may indicate child abuse.

Step 1. In case of suspicion of child abuse, the teacher / any other school staff member should immediately notify the relevant head of the program (in the case of international programs), the program coordinator (in the case of the Georgian program), or the program psychologist.

This information must be provided to the Program Officers / Program Coordinator and to the Child Protection Officer no later than 24 hours. An investigation/fact study is initiated with the participation of the school doctor, psychologist, and child rights officer to determine whether the suspicion is well-founded.

Procedures to be implemented:
- Interview with the student.
- If necessary, interview employees regarding the case.
- Interview with school staff to find out more about the student and find out other work-related circumstances.
- Informing the school principal about the progress of the case.
- Planning next steps.

In case of reasonable suspicion of child abuse, the Child Rights Protection Officer prepares/completes a document provided by law (Child Protection Application Card), which is sent to the relevant territorial unit of the legal entity of public care and victims of trafficking, the relevant territorial unit by mail, fax or, with an electronic document management system, if available. In case of emergency, the information about child abuse is immediately reported to the police, the ambulance brigade is called and the hotline for victims of state care and trafficking is notified to the hotline and/or in writing.

For the purposes of this policy and the purposes of child protection referral (referral) procedures provided for in the Resolution N437 of the Government of Georgia of 12 September 2016 on the Protection of Child Protection Referral Procedures, a reasonable doubt may arise if the following circumstances exist:
A) a statement by a child that he or she has been or has been abused.
B) Inability of the child to explain the causes of the injury.
C) A witness statement that he witnessed the fact of violence.
D) Inadequate behavior of the parent / legal representative / other responsible person, such as:
Da) Inconsistency of the severity of the child's injury with the parent / legal guardian / other responsible person about the injury.

Db) the inconsistency of the severity of the child's injury between the stories of different people about receiving the injury.

Dc) Permanent change of the narrative details of the parent / legal representative / other responsible person.

Dd) Inadequate response of the parent / legal representative / other responsible person to the child's injury.

D.e) Explaining the cause of the injury to the child.

E) other circumstances that are more likely to give rise to the suspicion that the child was abused.

All suspicious cases will be documented, with full confidentiality.

Stage 2. Based on the information obtained, the Student Wellbeing Service will develop an action plan to support the student and family:

Possible actions:

- Interview with the child's legal representatives.
- Interview the child with a school psychologist for more information.
- Further observation of the student in the learning environment by a school psychologist.
- Referral of the child / legal representative to the relevant authorized service.
- Other actions.

If allegations of child abuse relate to a European School staff member or teacher, the school principal acts in accordance with the school code of ethics and bylaws.

Stage 3. In case of suspicion / reasonable suspicion of violence against a child or in a justified case:

. The Student Wellbeing Service under the guidance of the Child Protection Officer will continue to work with the child and family to provide appropriate assistance.

. The child protection officer / school psychologist informs the child teachers and the school principal about the support measures taken.

. The child protection officer / school psychologist will provide teachers with the necessary materials and behavioral strategies.

. The school principal will have communication with the relevant government agencies about the further achievements and development of the child in the school.

Confidentiality:

All documentation of the investigation will be kept in the child's confidential records file. Records sent to schools to which their student may transfer will be flagged to let the receiving school know there is a confidential file for the child.

Most cases of suspected abuse or neglect will be handled by CPO and the Student Wellbeing Service staff. Some cases will be referred to outside resources, for example: Mental health issues such as depression, psychosis, dissociation, suicide ideation. Cases reported for investigation and outside resources:

✦ Severe and ongoing physical abuse or neglect

✦ Sexual abuse and incest.

Inappropriate / unacceptable behaviors / actions and recommendations in dealing with students

Behaviours Inappropriate to the Teacher-Student Relationship

Actions that are inappropriate and not tolerated by the school include, but are not limited to, the following:

✦ unwanted physical contact (e.g., hitting, slapping, kicking, pushing) or the threat of the same.

✦ sexual harassment (including romantic relationships between teachers and students) or harassment based on age, gender, race, ethnicity, national origin, religion, disability, or sexual orientation.

✦ loss of personal civility including shouting, personal attacks, or insults, displays of temper (such as throwing objects).

✦ discrimination of any form including in teaching and assessment based upon age, gender, race, ethnicity, national origin, religion, disability, or sexual orientation.

Recommendations Regarding Touching Students

Teachers and other adults working in the school must exercise conscious judgment in determining whether to touch students and under what circumstances.

To exercise good judgment regarding touching, teachers and other school staff must consider a range of factors:

1. Age of the child:

It is very difficult to avoid touching kindergarten and younger primary school students in a classroom. However, as students grow older, the acceptability of touching and hugging decreases. Middle school female students, for instance, are extremely conscious of their sexuality. Very little touching is acceptable with students in grades nine and above.

2. Educator's gender:

Male educators must review their behavior very carefully to be certain it cannot be misinterpreted. However, females are not immune.

3. Cultural/Personal factors:

Educators need to be sensitive to students' individual and cultural preferences. If a student indicates by word or action that he/she is not comfortable with touching, the educator should avoid physical contact with that student unless such contact is necessary for safety reasons.

Keep in mind that children who have previously been sexually abused may misperceive a neutral touch as sexual touch.

4. Common problem areas – to be avoided when possible:

a) Repeated one-to-one contact with an individual student.

b) social activities with students (off-campus).

c) Driving students in cars.

d) Giving gifts to students.

e) Writing cards, notes, or letters to students.

Works Cited:

1. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება.

2. Parliament of Georgia. "The Code of the Rights of the Child." *სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"*, 27 Sept. 2019, matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2.

3. United Nations Human Rights Office of the High Commissioner. "OHCHR Convention on the Rights of the Child." www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx.